ფენეკი

გაიხსენე, რა იყო უდაბნოს ცხოველების შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაეცანი უდაბნოს ერთ-ერთ ბინადარს – ფენეკს.

ფენეკი პატარა ზომის მელაა. ის შინაურ კატაზე პატარაა. ცხოვრობს აფრიკის ქვიშიან უდაბნოში. მისი სხეული დაფარულია გრძელი ბეწვით. ბეწვი ყვითელია. ამის გამო მელა ადვილად ემალება მტერს ქვიშაში. **ხშირი** ბეწვი მას დღისით მზისგან იცავს, ღამით – ყინვისგან. ფენეკს თათებზეც კი ხშირი ბეწვი აქვს. ამიტომ ცხელ ქვიშაზე თათები არ ეწვება.

ფენეკი, ეს პატარა მელა, სოროს თხრის. ირჩევს იმ ადგილს, სადაც ბალახი ან ბუჩქები იზრდება. იკვებება მცენარის ფესვით, ასევე მწერებით.

ფენეკს გრძელი და ფართო ყურები აქვს. ყურის სიგრძე 15 სმ-ია, მაშინ როცა სხეულის სიგრძე 40 სმ-ია. ფენეკს აქვს კარგი სმენა. მას ქვიშაში **ფაჩუნიც** კი ესმის. ეს ფენეკს საკვების პოვნაში ეხმარება.

ფენეკები ცხოვრობენ ოჯახებად. ოჯახში 10 მელა მაინც არის. თუმცა სანადიროდ ღამით ფენეკი მარტო დადის. ის წყლის გარეშე დიდხანს ძლებს ისევე, როგორც უდაბნოს სხვა ბინადარი.

ზოგი ადამიანი ფენეკს სახლში აყოვრებს. შენ ოომ არ ისურვებდი ამას? რატომ?

კომპონენტი: *ბიზეში და შედეგი*, **დონე:** *2.2*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ფენეკი ადვილად უძლებს უდაბნოს სიცხეს, რადგან:

ა) იგი პატარაა ზომით.

ბ) მას აქვს ყვითელი ბეწვი.

გ) მას აქვს ხშირი ბეწვი.

2 ფენეკები ადვილად ემალებიან მტერს:

ა) რადგან ისინი ოჯახებად ცხოვრობენ.

ბ) რადგან მათი ბეწვი ქვიშისფერია.

გ) რადგან სანადიროდ ცალ-ცალკე დადიან.

3 კარგი სმენის გამო ფენეკი:

ა) ადვილად თხრის სოროს.

ბ) ადვილად მოძრაობს უდაბნოში.

გ) ადვილად პოულობს საკვებს.

4 ტექსტში *არ არის* საუბარი იმის შესახებ, თუ:

ა) რატომ არ ეშინია ფენეკს ღამის სიცივის.

ბ) რატომ დადის ფენეკი სანადიროდ ღამით.

გ) რატომ დადის ფენეკი ცხელ ქვიშაზე ადვილად.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

1. ფენეკს **ხშირი** ბეწვი აქვს.

   ა) ლამაზი. ბ) რბილი. გ) სქელი.

2 ამოიწერე ტექსტიდან თითოეული განმარტების შესაბამისი სიტყვა.

1. ოდნავ გასაგონი ხმა არის ----------.

2. თმის მსგავსი ამონაზარდი, რომლითაც დაფარულია ცხოველის ტყავი, არის

---------- .

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები?

ა) ადვილი – რთული.

ბ) გრძელი – მოკლე.

გ) ფართო – განიერი.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ფენეკი *(შინაური)* ---------- კატაზე პატარაა.

2. დიდყურება მელა *(წყალი)* ---------- გარეშე დიდხანს ძლებს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. ხშირი ბეწვი ფენეკს იცავს ----------. ***(ყინვიდან / ყინვისაგან)***

2. ფენეკს არ სცხელა, ---------- ბეწვი იცავს. ***(რათა / რადგან)***

გრამატიკა

3 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ადგილი, სადაც ბევრი ქვიშაა, არის ქვიშიანი.

1. მცენარე, რომელსაც ფესვი აქვს, არის ----------.

2. ცხოველი, რომელსაც ბეწვი აქვს, არის ----------.

წერა

1 **ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.**



2 **წარმოიდგინე, რომ შენს მეგობარს აჩუქეს ფენეკი. მისწერე წერილი და ურჩიე, თუ როგორ მოუაროს ამ პატარა მელას.**